



**შავი ზრვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში**

**შფოთვის ფაქტორი ინგლისური როგორც უცხოური ენის სწავლისას:
საქართველოში მსწავლეები თურქი-სტუდენტების შემთხვევა**

**ჰუსეინ დემირი
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებებში**

თბილისი, 2015

სამეცნიერო
ხელმძღვანელი:

ნათელა დოლონაძე

პროფესორი, დოქტორი შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტში

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ასოც. პროფ. დოქტ. ნიკოლოზ ფარჯანაძე

2. ასოც. პროფ. დოქტ. მათა ჩქოტუა

ობონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. პროფ. დოქტ. შაბან ჩეპიკ

2. პროფ. დოქტ. რუსუდან გოცირიძე

3. ასოც. პროფ. დოქტ. თამარ მიქელაძე

(არსებობის შემთხვევაში)

შესავალი

უცხოური, კერძოდ, ინგლისური ენის საჭიროება და მნიშვნელობა თანამედროვე „გლობალურ სოფელში“ შეუძლებელია გადაჭარბებულად იქნეს შეფასებული. თუმცა, არიან ქვეყნები, სადაც უცხოური ენა სასწავლო გეგმის სავალდებულო ნაწილს წარმოადგენს და მათ გააჩნიათ უამრავი შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეების უცხოური ენის უნარ-ჩვევების განვითარებას საკლასო ოთახების მიღმა, მაგრამ არიან ასევე ქვეყნები და კულტურები, რომლებიც ისტორიულად უფრო ჩაკეტილები იყვნენ უცხოურ ენებთან დაკავშირებით.

ჩოშქუნის (Coşkun, 2013, გვ. 1) მიხედვით, „როგორც ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში, ინგლისური ენა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება თურქეთშიც. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თურქეთში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინგლისური ენის სწავლებას და დაუღალავად შრომობენ, რომ განავითარონ ეფექტური პროგრამები თურქეთში ინგლისური ენის სწავლებისა, მაინც ის განსჯის საგანი ჩნდება, როდესაც საქმე ეხება თურქეთში ინგლისური ენის სწავლებას. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ეკონომიკის თვალსაზრისით მე-16 ადგილზეა მსოფლიოში და დიდ როლს თამაშობს თავის რეგიონში, უცხოური ენის სწავლების კუთხით, ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკა არაეფექტურად უნდა შეფასდეს“. გამოკითხვის მიხედვით, რომელიც ჩაატარა ორგანიზაციამ ‘განათლება უპირველესყოვლისა“ 2014 წელს, ინგლისურის ცოდნის ინდექსი თურქეთში იყო ძალიან დაბალი. თურქეთმა გამოკითხვაში მონაწილე 63 ქვეყნიდან დაიკავა 47-ე ადგილი.

სონერმა (Soner, 2007) ჩამოაყალიბა ის მთავარი მიზეზები, თუ რატომ არ არის თურქეთში ინგლისური ენის სწავლების პოლიტიკა წარმატებულად გატარებული: მასწავლებლებს აკლიათ უცხოური ენის და სწავლების თანამედროვე მეთოდების ადეკვატური ცოდნა, ისინი იყენებენ ენის სწავლებისადმი ტრადიციულ მიდგომებს, სტუდენტებს აკლიათ მოტივაცია და ინტერესი უცხოური ენის შესწავლისადმი, ასევე მათ არ აქვთ იმის შანსი, რომ ილაპარაკონ უცხოურ ენაზე

საკლასო ოთახის მიღმა. სტუდენტები არ ანიჭებენ ინგლისურ ენას დიდ მნიშვნელობას, სკოლები არ არიან საკამრისად აღჭურვილნი ენის შემსწავლელი ტექნიკით და ასევე არ ჰყავთ საკმარისი რაოდენობის ინგლისური ენის მასწავლებლები. მეორე მხრივ, კვლევების რაოდენობა მატულობს, რომლებიც ეხება ენობრივი და საგამოცდო შფოთვის როლს სტუდენტების დაბალ მოტივაციაში და მიღწევებში (Güzel & Aydin, 2014; Merc, 2011; Aydin, 2013; Cakir & Solak, 2012). ყველაფერი ეს მიუთითებს საკვლევი თემის **მნიშვნელობაზე**.

ამგვარად, ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე თურქ სტუდენტებში და შფოთვის მაღალი დონე მკაფიოდ ასახავს კვლევის **პრობლემებს**.

წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის **მიზანი** არის:

- გაირკვეს, თუ რომელი ფაქტორები იწვევს შფოთვის უცხოური (ინგლისური) ენის შესწავლაში, განსაკუთრებით, თურქ სტუდენტებში, რომლებიც სწავლობენ ინგლისურ ენას;
- შემოთავაზებულ იქნას სასარგებლო (შფოთვის დამლევის თვალსაზრისით) პირობები ინგლისური ენის სწავლებისათვის, განსაკუთრებით, თურქი სტუდენტებისათვის;
- შეფასებულ იქნას შემოთავაზებული მოდელის ეფექტურობა.

კვლევის **ჰიპოტეზაა**:

იმისათვის, რომ შევამციროთ უცხოური ენის შემსწავლელი სტუდენტების შფოთვის დონე, საჭიროა:

- შეიქმნას უსაფრთხო საკლასო გარემოება;
- ხაზი გაესვას ნაკლები შფოთვის გამომწვევი შეფასების ფორმებსა და პირობებს;
- სტუდენტებს განუვითარდეს ენის შემსწავლელი ისეთი სტრატეგიები, რომლებიც გაზრდის სტუდენტების თვით-დაჯერებულობას და, შესაბამისად, შეამცირებს მათ შფოთვის;

- გათვალისწინებულ იქნას შემსწავლელთა გენდერული და კულტურული თავისებურებები.

დისერტაციაში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები:

- თემაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი
- კითხვარი
- ექსპერიმენტი
- კითხვარიდან მიღებული შედეგებისა და ექსპერიმენტის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

ამგვარად, კვლევის მეთოდები იყო რაოდენობრივი და ემპირიული.

სიახლე

განათლების თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო და უფრო ხდება ფსიქოლოგიაზე დაყრდნობილი. თუ წარსულში განათლების მეცნიერება უცხოური ენის სწავლებისათვის ტიპიურად ეძებდა გამოწვევებს ლინგვისტიკურ (უნარ-ჩვევების ინტერფერენცია მშობლიურ და შესასწავლ ენებს შორის) და პედაგოგიურ ფაქტორებში, დღეისღებობით მთელი ყურადღება მიპყრობილია ფსიქოლოგიური ფაქტორების მიმართ - მოტივაციისა და შფოთვის საკითხების გამოკვლევისადმი. თუმცა შფოთვის მაღალი დონის ნეგატიური გავლენა აღიარებულია, არ არის ხელმისაწვდომი საკმარისი კვლევა, რომელიც დაკავშირებულია ინგლისური როგორც უცხოური ენის ისეთი სწავლების მოდელის შემუშავებასთან, რომელიც უზრუნველყოფს შფოთვის დაბალ დონეს. მე ვცადე, რომ გამეანალიზებინა ენის შესწავლა და გამოყენება სხვადასხვა კუთხით, განსაკუთრებით, შემესწავლა პრობლემები იმ თურქი სტუდენტებისა, რომლებიც სწავლობენ ინგლისურს როგორც უცხოურ ენას. მოდელი, რომელიც შემოთავაზებულია დისერტაციაში, არის ორიგინალური და დეტალური, თუმცა, მისი თითოეული ელემენტი არის საკმაოდ შესწავლილი.

თეორიული ღირებულება

წარმოდგენილი კვლევის თეორიული საფუძვლები არის:

- შფოთვის განმარტება (Freud, 1933; Sarason, 1980; Spielberger, 1983; Horwitz, Horwitz and Cope, 1986);
- შფოთვის შედარება მსგავს ცნებებთან, როგორცაა შიში, სტრესი და აფექტი (Spielberger, 1976; Richmond, 2015; Krashen, 1981);
- ენობრივი სირთულეებითა და შეფასებით გამოწვეული შფოთვის ტიპები, როგორცაა ხელშემწყობი და ხელის შემშლელი შფოთვა (Alpert and Haber, 1960), მოსწავლის პიროვნული თავისებურებებიდან, მდგომარეობიდან და სიტუაციიდან გამომდინარე შფოთვა (Spielberger, 1983);
- შფოთვის გაზომვის ფსიქომეტრიული ხერხები (Spielberger, Gorsuch, Lushene, Vagg, & Jacobs, 1983; Horwitz, Horwitz and Cope, 1986).

დისერტაციის თეორიული ღირებულება ეხება ენობრივი შფოთვის არსებული თეორიების სისტემატიზაციას და ანალიზს, შფოთვის გავლენის დონის გარკვევას ენობრივ კომუნიკაციაზე და ეფექტური მოდელის შეთავაზებას შფოთვის შემცირებისათვის უცხოური ენის სწავლის დროს.

პრაქტიკული ღირებულება

პრაქტიკული რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ შევამციროთ ძლიერი შფოთვა და, შესაბამისად, თუ როგორ გავხადოთ უცხოური (ინგლისური) ენის შესწავლა უფრო ეფექტური, იქნება სასარგებლო როგორც მასწავლებლებისათვის, ისე ინგლისური ენის სწავლების მეთოდების მკვლევარებისათვის.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალს, 3 თავს, დასკვნებსა და დანართს. მასში შედის 16 ცხრილი და 6 სქემა (გრაფიკი).

თავი I: შფოთვა - ლიტერატურის მიმოხილვა

ეს თავი მოიცავს შფოთვის ზოგად განმარტებას, ასევე შფოთვის განმარტებას უცხოური ენის სწავლებისას. პირველ თავში მიმოხილულია შფოთვის გაზომვის მეთოდები, შფოთვის ტიპები და მისი გავლენა სწავლაზე.

ჰორვიცი, ჰორვიცი და ქოუფი განმარტავენ უცხოური ენის შფოტვას შემდეგნაირად: ეს არის „მკაფიო კომპლექსი თვითაღქმის, რწმენის, გრძნობის და ქცევის, რომელიც დაკავშირებულია საკლასო ოთახში ენის შესწავლის პროცესთან“ (Horwitz, Horwitz, & Cope, 1986, გვ.128). ქცევითი თვალსაზრისით სარასონმა (Sarason, 1980) განმარტა შფოთვა როგორც უპირობო რეაგირება აღქმულ საშიშ სტიმულზე, რომელიც შეიძლება ისწავლებოდეს ან მემკვიდრეობით იქნეს გადაცემული. მეიმა (May, 1977) მსგავსად განმარტა შფოთვა, როგორც ქცევის არასწორი რეგულირება.

სპილბერგერმა (Spielberger, 1976) განასხვავა ერთმანეთისგან შიში და შფოთვა. მაშინ, როდესაც შიში გამოწვეულია გარემოში არსებული რეალური საფრთხით, მიზეზი, რომელიც იმალება შფოთვის უკან, შეიძლება არც კი იყოს ცნობილი იმ ადამიანისთვის, ვინც განიცადის მას.

რიჩმონდის (Richmond, 2015, გვ. 95) მიხედვით, „განსხვავება სტრესსა და შფოტვას შორის შეიძლება გახდეს ბუნდოვანი, ვინაიდან ბევრ შემთხვევაში ისინი გვანან ერთმანეთს და ბევრ შემთხვევაში სიმპტომების გამოვლენის დროს იძლევიან ერთიდაიგივე შედეგს“. სტრესი უფრო გარეგან მიზეზებს ეხება, ხოლო შფოთვა - ადამიანის შინაგან მდგომარეობას. ისინი ერთი მონეტის ორ სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ.

რომ შევაჯამოთ, შფოთვა არის არასასიამოვნო შეგრძნება, რომელიც მოიცავს მღელვარებას, დარდს, დაბნეულობას, განცვიფრებას, შიშს, და თუ ყველა მოსწავლე გაკვეთილის დროს შეიძლება არ იყოს მშფოთვარე, ისინი ნამდვილად ნერვიულობენ გამოცდის დროს (Phillips & Endler, 1982).

ქრეშენის (Krashen, 1981) მიხედვით, არსებობს ხუთი ძირითადი ჰიპოთეზა მეორე ენის ფლობასთან დაკავშირებით. ესენია შეთვისებისა და შესწავლის, ბუნებრივი თანმიმდევრობის, თვითდაკვირვების, შემოსული ენობრივი წვლილისა და აფექტური ფილტრის ჰიპოთეზები. აფექტური ფილტრი მოქმედებს მხოლოდ

მეორე ან უცხოური ენის ცოდნის შეძენასთან დაკავშირებით, ის არ ჩნდება მაშინ, როცა მშობლიური ენის შეთვისება ხდება.

აფექტური ფილტრი ქრემენმა განსაზღვრა როგორც ფსიქიკური ბლოკი, რომელიც ხელს უშლის მოსწავლეს, რომ სრულად გაიგოს გადმოცემული ინფორმაცია ენის შესასწავლად. აფექტური ფილტრის ჰიპოთეზა ცდილობს, რომ მეორე ენის შესწავლის პროცესში გააერთიანოს აფექტური ცვლადები, როგორცაა დაბალი მოტივაცია, დაბალი თვითშეფასება და მაღალი დონის შფოთვა.

უცხოური/ მეორე ენის შესწავლა არის სისტემური და რთული პროცესი, რომელიც მოითხოვს ენის სტრუქტურის, ლექსიკის, წარმოთქმის ცოდნასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ქონას (მაგალითად, უნარს, რომ გამოიყენოთ ისინი ავტომატურად). ამ მიზეზების შედეგია, რომ ბევრი მოსწავლე უცხოური ენის შესწავლის დროს განიცდის ძლიერ შფოთვას. ამ თვალსაზრისით, უცხოური ენის შესწავლა/გამოყენება ბევრი სტუდენტისათვის შეიძლება იყოს უფრო სანერვიულო, ვიდრე ბევრი სხვა სასწავლო კურსი (MacIntyre, 1995; MacIntyre & Gardner, 1991a; Liu, 2007; Ohata, 2005).

ასევე ცნობილია, რომ, თუ სტუდენტს სუსტი გადმოცემის უნარი აქვს თავის მშობლიურ ენაზე, უფრო მაღალი შესაძლებლობაა იმისა, რომ ეს სტუდენტი უცხოური ენის შესწავლის დროს უფრო მეტ შფოთვას განიცდის, ვიდრე ის სტუდენტი, რომელიც უფრო კომპეტენტურია თავის მშობლიურ ენაში (Onwuegbuzie et al., 1999).

ზოგიერთმა მკვლევარმა აღმოაჩინა დადებითი კორელაცია უცხოური ენის შესწავლის პროცესში ზომიერ შფოთვასა და მოსწავლის მიღწევებს შორის (Brown, Robson, & Rosenkjar, 2001; Kleinemann, 1977; Scovel, 1978), მაშინ როდესაც სხვებმა აღმოაჩინეს უარყოფითი კორელაცია შფოთვასა და აკადემიურ წარმატებას შორის (Gardner et al, 1976; Lucas, 1984; McCoy, 1979). კვლევის შედეგები ამ მიმართულებით იყო წინააღმდეგობრივი, სანამ ჰორვიცმა და მისმა კოლეგებმა (Horwitz et al., 1986) შეიმუშავეს სიტუაციაზე დაფუძნებული კითხვარი, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მკვლევარებს გაეზომა ენის


შესწავლისას თანხლებული შფოთვა უფრო ზუსტად. ამის შემდეგ საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ მაღალი დონის შფოთვა ამცირებს ენობრივი უნარ-ჩვევების დონეს და კომუნიკაციის უნარს (Foss & Reitzel, 1988; Hashimoto, 2002; Jackson, 2002; Kondo & Yang, 2003; Osboe, Fujimura, & Hirschel, 2007).

ნაწილობრივ, წინააღმდეგობა შედეგებში, მეორე ენის წარმატებით შესწავლაში შფოთვის გავლენასთან დაკავშირებით ეხება შფოთვის დონეს: შფოთვის მცირე ('ხელშემწყობი შფოთვა') დოზა ეხმარება სტუდენტს, რომ იყოს კონცენტრირებული და წარმოაჩინოს თავი მაქსიმალურად, ხოლო შფოთვის დიდი ('ხელის შემშლელი') დოზა ხელს უშლის სტუდენტს საკუთარი ცოდნის გამომჟღავნებაში, თითქოს ავიწყებს ყველაფერს, რაც კი აქამდე სცოდნია. ჟენგი (Zheng, 2008, გვ. 8) გვთავაზობს ტერმინს "შფოთვის ზღვრული დონე" – „შფოთვის დონე ენის შესწავლის დროს, რომლის ქვემოთაც მეორე/უცხოური ენის სტუდენტები გრძნობენ გამოწვევას, მაგრამ შფოთვის დონე არ არის გადამეტებული და არ ქმნის პრობლემებს“.

რომ შევაჯამოთ ზემოთ მოყვანილი ანალიზი, მოვამზადე სქემა 1.1-1.3.


უცხოურ ენებში ტესტები და გამოცდები ძალიან ხშირია, და ის სტუდენტები, რომლებიც ემოციურები არიან ტესტის მიმართ, ბევრ სირთულეებს ხვდებიან. არსებობს მზარდი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოტივაცია გავლენას ახდენს სტუდენტის მიღწევაზე. საგამოცდო შფოთვა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. საგამოცდო შფოთვის შექმნა ეხება ნერვიულობას სოციალურ შეფასებასთან დაკავშირებით, შეფასების სხვადასხვა კონტექსტში, როგორცაა, მაგალითად, გამოცდა. ეს აღწერილია როგორც დამარცხების შიში (Hong, 1999; Meijer, 2001) და მოსწავლეები, რომელთაც შეფასებასთან დაკავშირებით შფოთვის მაღალი დონე ახასიათებს, აღიქვამენ შეფასებას როგორც მუქარას (Spielberger & Vagg, 1995).

სქემა 1.1. მეორე /უცხოური ენის შეთვისება-გამოყენებასთან დაკავშირებული შფოთვა




გრეგერსენისა და ჰორვიცის (Gregersen and Horwitz, 2002) კვლევებმა აჩვენეს, რომ მაქსიმალისტური ტენდენციები იწვევს ენობრივ შფოთვას. შედეგად, მათ დაასკვნეს, რომ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ შფოთვის მაღალი დონე, აქვთ დაახლოებით ისეთი არასასიამოვნო ემოციები, რომლებიც გამოწვეულია მაქსიმალისტური ტენდენციებით, რომელიც ენის შესწავლას ხდის უიმედოსა და უკმაყოფილოს. განსხვავებით ამ ემოციური სტუდენტებისა, ის სტუდენტები, რომლებიც არ ღელავენ ენის სწავლის დროს და რომლებსაც არ ახასიათებთ მაქსიმალისტური ტენდენციები, ისწრაფიან, რომ მინიმალური მიღწევითაც კი იყვნენ კმაყოფილები.

სქემა 1.2. ენობრივი შფოთვის გავლენა



სქემა 1.3. ენასთან დაკავშირებული შფოთვის გამოვლინება



დღეისდღეობით უამრავი სკოლა და უნივერსიტეტი შეფასებისთვის იყენებს ტესტებს, იმისათვის, რომ ნახონ სასწავლო პროცესის პროგრესი. მომრავლებული საგამოცდო ტესტები გაჩნდა „არც ერთი ბავშვი დარჩეს უკან“ (NCLB; No Child Left Behind, 2001) ორგანიზაციის მოთხოვნით, რომლის მიზანიც იყო ზეწოლა მოეხდინა სკოლის ადმინისტრაციაზე და მასწავლებლებზე, რომ აემაღლებინათ საგამოცდო შედეგები (Herman and Golan, 1993; Paris *et al.*, 1991), ეს ზეწოლა განხორციელდა ასევე მოსწავლეებზე (Hembree, 1988; Hill and Wigfield, 1984). შედეგად ტესტების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს საგამოცდო შფოთვა დაწყებითი სკოლის მოსწავლეებში.

ერთის მხრივ, გამოცდის წინ შფოთვა გარდაუვალია: ყველა (პასუხისმგებელ) სტუდენტს აქვს ეს შეგრძნება. თუმცა ეს შფოთვა ბევრ სტუდენტს ეხმარება, რომ გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და უნარები, მაშინ როდესაც სხვა სტუდენტებს აქვთ ბევრად უფრო დაბალი შედეგები, ვიდრე, ვთქვათ, მიმდინარე შეფასებისას. რომ ვიცოდეთ, თუ როგორ ვაქციოთ საგამოცდო შფოთვა ჩვენს მეგობრად, როგორ დავარეგულიროთ მისი დონე, ამისთვის საჭიროა მისი ბუნების უკეთ შესწავლა.

ლიტერატურა საგამოცდო შფოტვის შესახებ გვიჩვენებს, რომ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სტუდენტის რეაქციაზე გამოცდის დროს, დაკავშირებულია ტესტის საიმედოობასთან, დროის ლიმიტთან, ტესტის ფორმატთან, გამოცდის ხანგძლივობასთან, საგამოცდო გარემოსთან და საგამოცდო ინსტრუქციების ცნობადობასთან. (Young, 1999).

უარყოფითი დამოკიდებულება შფოთვასა და აკადემიურ მიღწევებს შორის დამტკიცებულია სხვადასხვა კვლევებში, რომლებშიც გაერთიანებულია ენის ოთხივე უნარ-ჩვევა: საუბარი (Liu, 2006; Steinberg & Horwitz, 1986; Young, 1986), წერა (Masny & Foxall, 1992), კითხვა (Saito, Garza, & Horwitz, 1999) და მოსმენა (Elkhafai, 2005; Mills, Pajares & Herron, 2006).


გასაგები მიზეზების გამო, შფოთვის ეფექტი აღსანიშნავია უფრო მაშინ, როდესაც შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. იანგმა (Young, 1986) აღმოაჩინა, რომ

შფოთვა ნაკლებ როლს თამაშობდა არაოფიციალურ, სავარჯიშო ზეპირ გასაუბრებაზე.

რამდენიმე ხნის წინ მილსმა და მისმა კოლეგებმა (Mills et al., 2006) განაცხადეს, რომ მათი სტუდენტები, განსაკუთრებით კი მამრობითი სქესის სტუდენტები, უფრო ნაკლებად იხარჯებოდნენ მათვის ნაკლებად მნიშვნელოვან ცოდნის შესამოწმებელ გამოცდაში, ვიდრე შემაჯამებელ ოფიციალურ გამოცდაზე. მსგავსად ამ განცხადებისა, ინამიმ (In'nami, 2006) აღმოაჩინა, რომ იაპონიაში სტუდენტები საერთოდ არ განიცდიან შფოთვას მოსმენის გამოცდის წინ.

სქემაში 1.4. მოყვანილია ქვე-თავის შეჯამება:

სქემა 1.4. საგამოცდო შფოთვის წყაროები



ხაზი უნდა გაესვას შფოთვის სხვადასხვა ტიპებს შორის განსხვავებას - შფოთვა როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება, ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შფოთვა. შფოთვა როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება დაფუძვნიებულია ვარაუდზე, რომ პიროვნება მეტ-ნაკლებად სტაბილურად არის მიდრეკილი

ნერვიულობისადმი ყოველ სიტუაციაში, მაშინ როდესაც ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე შფოთვა თან ახლავს პიროვნებას მოცემულ სიტუაციაში. ამ სახის შფოთვა გამოწვეულია კონკრეტულ სიტუაციაში მომხდარი მოვლენისგან, რომელსაც აქვს ნათელი „ჩამრთველი“. შეიძლება ადამიანი იყოს ზოგადად მიდრეკილი შფოთვისაკენ, მაგრამ არ შფოთავდეს მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ მათ, ვინც ზოგადად გამოირჩევიან მდგომარეობიდან გამომდინარე შფოთვაც სავარაუდოდ გააჩნიათ შფოთვა როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება (Spielberger, 1972). გამოცდის დროს შეიძლება ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე შფოთვა განიცადოს ადამიანმა, ამავე დროს, შეიძლება მას ჰქონდეს შფოთვა როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება. აქედან გამომდინარე, თუ მოსწავლე განიცდის ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე ძლიერ შფოთვას, მას სავარაუდოდ ექნება ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე შფოთვაც. ვუდროუ (Woodrow, 2006) ამტკიცებს, რომ სტუდენტებს ახასიათებთ სიტუაციიდან გამომდინარე შფოთვა. მსგავსი ემოციები მუდმივად იჩენს თავს გარკვეულ გარემოებებში, მაგალთად, ინგლისურის გაკვეთილზე. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შფოთვა სინონიმური ტერმინებია, ანუ ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე შფოთვა არის კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შფოთვის სახეობა.

ძალიან მნიშვნელოვანია შფოთვის დონის განსაზღვრა, იმისათვის რომ გამოკვლეულ იქნას მისი გამომწვევი მიზეზები, რომელიც საბოლოოდ გახდის შესაძლებელს, რომ დავემხმაროთ მშფოთვარე სტუდენტებს. თუ სამედიცინო გზებით ხდება შფოთვის სიმპტომების დადგენა (პულსის და სუნთქვის სიხშირის შემოწმება, ოფლიანობის გაზომვა), ფსიქომეტრიული გზით ჩვენ ვადგენთ ადამიანის აღქმას მისი დამოკიდებულებებისა და გრძნობების. დისერტაციაში განხილულია შფოთვის გამზომი ინსტრუმენტი: სპილბერგერისა და მისი კოლეგების (Spielberger, Gorsuch, Lushene, Vagg, & Jacobs, 1983) State-Trait Anxiety Inventory – STAI, რის და მისი კოლეგების (Ree, MacLeod, French, and Locke, 2000)

მიერ მოგვიანებით შემუშავებული STISCA (State–Trait Inventory for Cognitive and Somatic Anxiety), და ალპერტისა და ჰაბერის (Alpert & Haber, 1960) Achievement Anxiety Test (AAT). ყველა ავტორი გვთავაზობს ღირებულ განსაზღვრებას შფოთივსათვის. მე განვიხილე მათი აზრები და შევიმუშავე, მათი აზრების გათვალისწინებით, ჰორვიც, ჰორვიცისა და ქოუფის (Horwitz, Horwitz, & Cope, 1986) გამზომი ინტრუმენტის ჩემი საკუთარი მოდიფიკაცია.

თავი II. ინგლისური ენის სწავლების მოდელი, რომელიც ხასიათდება შფოთვის დაბალი დონით

ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც შეინარჩუნებენ შფოთვის ზომიერ დონეს, საჭიროა როგორც განათლების ჰუმანიზაციისთვის (Salazar, 2013), ისე სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რამდენად შფოთავენ სტუდენტები ინგლისური ენის შესწავლისა და გამოყენების დროს, საჭიროა დავაკვირდეთ, თუ რამდენად პასუხისმგებლობის გძნობით ეკიდებიან ისინი საგანს. შფოთვის შესამცირებლად საჭიროა ყურადღება მიექცეს ქვემოთ ჩამოთვლილს:

- საკლასო გარემოს;
- სავარჯიშოების და შეფასების ფორმატს;
- ეფექტური სტრატეგიების არსებობას ენობრივი პრობლემების დაძლევისათვის;
- სტუდენტებისა და მასწავლებლების მიდგომას შეცდომებისადმი;
- სტუდენტების კულტურისა და სქესის თავისებურებების გათვალისწინებას.

იმისათვის, რომ კლასში შეიქმნას მეგობრული გარემო, უნდა იყოს გათვალისწინებული შიდა და გარე ელემენტები საკლასო ოთახის გარემოსთვის. **გარეგანი ფაქტორებია**, რომლებიც ირიბად ახდენენ გავლენას საკლასო გარემოზე. ისინი შეიძლება განისაზღვროს როგორც ელემენტები, რომლებიც გულისხმობს მოსწავლის მომზადებას, სანამ ის მივა საკლასო ოთახთან. ეს გარეგანი ფაქტორები შედგება ელემენტებისგან, რომლებიც ამზადებენ მოსწავლეს საკლასო ოთახში მოსვლამდე. ამ გარეგანი ფაქტორების კლასიფიცირება შესაძლოა როგორც:

საზოგადოება, რომლის ნაწილადაც მოსწავლეები აღიქვამენ საკუთარ თავს, და მოსწავლის ოჯახი.

გარდა ამისა, **შინაგანი ფაქტორები** მოიცავენ როგორც ფსიქოსოციალურ, ისე ფიზიკურ გარემოს კლასში. კლასში მეგობრული გარემოს შექმნისათვის, გარეგანი და შინაგანი ფაქტორები უნდა იქნეს საფუძვლიანად განხილული. ლიტერატურის ანალიზზე დაყდნობით, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად გამოყენებული დავალებების იერარქია შფოთვის დონის კუთხით (შფოთვის ნაკლებად გამომწვევიდან შფოთვის მაქსიმალურად გამომწვევამდე) ლოგიკაზე და პირად გაცდდილებაზე დაყდნობით შემდეგნაირად გამოიყურება:

დავალებები, რომლებიც დაბალი დონის შფოთვის იწვევენ:

- შესატყვისის პოვნა და გამოტოვებული ადგილის შევსება (ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევების შესაფასებლად);
- მრავლიდან ადეკვატური პასუხის არჩევანი (ლექსიკური, გრამატიკული, კითხვისა და მოსმენის უნარ-ჩვევების შესაფასებლად);
- მართალი/მცდარი დებულების დადგენა, ჩვეულებრივი ან მოდიფიცირებული (ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევების შესაფასებლად);

დავალებები, რომლებიც საშუალო დონის შფოთვის იწვევენ:

- მოკლე პასუხები (კითხვის, წერის და მოსმენის უნარ-ჩვევების შესაფასებლად);
- ზეპირი დიალოგი 2-3 გამოსაცდელს შორის (ლაპარაკის უნარ-ჩვევების შესაფასებლად);
- მოკლე აბზაცის დაწერა (წერის უნარ-ჩვევების შესაფასებლად);
- ზეპირი პრეზენტაცია სლაიდების თანხლებით (ლაპარაკის უნარ-ჩვევების შესაფასებლად);

დავალებები, რომლებიც მაღალი დონის შფოთვის იწვევენ:

- ზეპირი გასაუბრება (მასწავლებელი-მოსწავლე) (მოსმენის და საუბრის უნარ-ჩვევების შესაფასებლად);

- მომზადებული მონოლოგის წარდგენა, ვიზუალური პრეზენტაციის გარეშე (საუბრის უნარ-ჩვევების შესაფასებლად);
- ესეს დაწერა (წერის უნარ-ჩვევების შესაფასებლად, ლექსიკური და გრამატიკული კომპონენტების ჩათვლით).

გამოცდების ინოვაციური ფორმატებს შორის არის გადაშლილი წიგნით გამოცდების ჩატარება (open-book exams), რომლის დროსაც სტუდენტი ნაკლებად განიცდის შფოთვას.

ვიასმა და ვიასმა (Vyas & Vyas, 2009, გვ. 164) განმარტეს გადაშლილი წიგნით გამოცდები შემდეგნაირად: „გამოსაცდელს გამოცდის დროს აქვს უფლება გამოიყენოს თავისი საკლასო ჩანაწერები, სახლმძღვანელოები და სხვა დამტკიცებული მასალები“.

არაოფიციალური შეფასება (რომელიც არ მოიცავს ქულით შეფასებას, თუმცა მოიცავს სიტყვიერ კომენტარს პასუხის სისწორეზე) გამოხატულია თავის დაქნევით, ღიმილით ან ჟესტიკულაციით, სიტყვიერად („დიახ“, „მართალია“ და ა.შ.), მინიმალურად სტრესულია, მაგრამ მანაც შესაზღვრელია გამოიწვიოს სტუდენტის (მეტწილად, ხელსემწყობი) შფოთვა.

შეფასების პირობები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი შინაარსი და ფორმატი. საგამოცდო პირობები შეიძლება გაიყოს ორ ძირითად ფაქტორად: გამოცდის მიზანი და გამოცდის ჩატარების პირობები.

თანგის, სვირსის, ქუარას, ალ-ბურაკისა და ჰიდაითის (Tang, 2002; Schweers, 1999; Qoura, 2005; Al-Buraiki, 2008; Hidayati (2012) მიერ ჩინეთში, ესპანეთში, საუდის არაბეთში, ომანსა და ინდონეზიაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მშობლიური ენის გამოყენებას ინგლისური ენის სწავლის დროს დადებითი გავლენა აქვს. მასწავლებლებმაც და მოსწავლეებმაც გამოხატეს თავიანთი პოზიტიური მიდგომა მშობლიური ენის ზომიერი გამოყენებისადმი ინგლისური ენის გაკვეთილებზე. თუმცა, მასწავლებლებმა გააცნობიერეს, რომ ამ მიდგომას გააჩნია გარკვეული შეზღუდვებიც.

ცხრილი 2.1. მშობლიური ენის გამოყენების დადებითი და უარყოითი ასპექტები უცხოური ენის გაკვეთილზე

დადებითი ასპექტები	ხარვეზები
ზოგავს დროს	არაავთენტურია, კონცენტრირებას აკეთებს მშობლიურ ენაზე შესასწავლი ენის ნაცვლად
ანალიტიკურ მოსწავლეებში, ასევე დაწყებითი დონის მოსწავლეებშიც ზრდის მოტივაციას	დაბლა წევს მოტივაციას სინთეზურ, საშუალოზე მაღალი დონის და გაძლიერებული დონის მოსწავლეებს შორის
საკმაოდ შესაფერისია მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვისაც ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლებისათვის (EFL), შედარებით ინგლისურის როგორც მეორე ენის (ESL) სწავლებასთან	შეუსაბამოა ინგლისურის როგორც მეორე ენის მოსწავლეებისათვის
როდესაც საჭიროა / მოთხოვნილია სტუდენტების მიერ, უნდა იქნეს გათვალისწინებული (ეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის ნაწილია; ამის გარეშე მხოლოდ თავის თავში დაჯერებული სტუდენტები ახერხებენ კომუნიკაციას შესასწავლ ენაზე	ითვლება, რომ მოძველებული და არაკომუნიკაციურია
ითვალისწინებს ქვეყანაში არსებული სწავლის ტრადიციებს	რისკია იმისა, რომ უცხოური / მეორე ენის შესწავლისას კომუნიკაციისთვის დრო საერთოდ არ დარჩეს
მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მიზანია უცხოურ / მეორე ენაზე იყოს კომუნიკაცია, თარგმნის უნარებიც არის ასევე საჭირო	

აუთენტურ სიტუაციებში	
ითვალისწინებს სტუდენტების ცოდნის დონეს მშობლიურ ენაში	
სწავლის პროცესს ხდის შეგნებულს	საფრთხეა იმისა, რომ გრამატიკის უნარ-ჩვევების ფორმირების ნაცვლად, სწავლის პროცესი მხოლოდ ორიენტირებული იყოს გრამატიკის შესახებ სწავლებაზე

შედეგად, შეკითხვა უნდა იქნას დასმული არა “უნდა იქნეს გამოყენებული თუ არა მშობლიური ენა?” , არამედ „თუ გამოვიყენებთ მას, რა დოზით, სად და როგორ გავაკეთოთ ეს?“ მშობლიური ენის ინტენსიურ გამოყენებას უცხოური / მეორე ენის გაკვეთილებზე შეიძლება ნეგატიური გავლენა ჰქონდეს უცხოური / მეორე ენის შეთვისებაზე, ვინაიდან ის ამცირებს უცხოური / მეორე ენის გამოყენების დროს სტუდენტების მიერ, სტუდენტს ხდის ნაკლებად თავდაჯერებულს კომუნიკაციისას, გაკვეთილს ხდის მოსაწყენს და ნაკლებად სასარგებლოს. როცა ვამბობთ, რომ „ნაკლებად“ უნდა გამოვიყენოთ მშობლიური ენა, რა რაოდენობით გამოყენებაა დასაშვები? ამის გამოკვლევა ძალიან რთულია, მაგრამ ინტუიციურად შეიძლება შეფასდეს, რომ 45-50-წუთიან გაკვეთილზე დასაშვებია, მხოლოდ 5-10 წუთის განმავლობაში გამოვიყენოთ მშობლიური ენა (მხოლოდ, როცა ეს ნამდვილად გამართლებულია, თანაც არა ყოველ გაკვეთილზე).

დისერტაციაში დიდი ყურადღება ეთმობა შეცდომებს, რომლებიც აღქმული უნდა იყოს როგორც განათლების პროცესის განუყოფელი ნაწილი, და მათ გამოსწორებას. შეცდომების კორექცია უნდა განხორციელდეს ტაქტიანად, მხოლოდ როდესაც სწავლა ან კომუნიკაცია ამას ითხოვს. სტუდენტის სქესი და კულტურა არის ასევე გასათვალისწინებელი ამ დროს.

მეორე თავში უცხოური ენის სწავლების ისეთი მოდელი არის შემოთავაზებული, რომელიც შფოთვის დონის დაწევას უზრუნველყოფს.

თავი III – კვლევა, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ენის სწავლების მოდელთან, რომელიც უზრუნველყოფს შფოთვის დაბალ დონეს

თავი მოიცავს რამდენიმე კვლევას:

- გამოკითხვა საქართველოში გადაშლილი წიგნით გამოცდის ჩატარებისადმი დამოკიდებულების შესახებ;
- გამოკითხვა მშობლიური ენის გამოყენების ეფექტურობის შესახებ უცხოური ენის სწავლა/სწავლების დროს;
- საქართველოში მსწავლები თურქი სტუდენტების გამოკითხვა მათი შფოთვის დონეს შესახებ;
- ექსპერიმენტი შემოთავაზებულ მოდელზე, რომელიც გულისხმობს ინგლისური ენის სწავლებას ნაკლები შფოთვით. მასში შედიოდა საკუთრივ ექსპერიმენტი, საკონტროლო (ტრადიციული სწავლება) და ექსპერიმენტული (შეთავაზებული მოდელის გამოყენება) ჯგუფის მონაწილეობით, და კმაყოფილების გამოკითხვა ექსპერიმენტამდე და მის შემდეგ).

პირველი ორი კვლევა საჭირო იყო იმისათვის, რომ გადაგვეწყვიტა, გამოგვეყენებინა თუ არა გადაშლილი წიგნით გამოცდა და მშობლიური ენა ექსპერიმენტულ ჯგუფში. მესამე კვლევა კი საჭირო იყო იმისათვის, რომ გამოაშკარავებულიყო თურქი სტუდენტების შფოთვის დონე საზღვარგარეთ ინგლისურ ენაზე სწავლის დროს. ამგვარად, ამ კვლევებს უნდა გამოეცადა დისერტაციის ჰიპოთეზა.

საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, იქნას თუ არა გამოყენებული გადაშლილი წიგნის გამოყენებით გამოცდები, იყო საკმაოდ

პოზიტიური, ამის შედეგად ამ სახის გამოცდები ჩართულ იქნა ექსპერიმენტულ მოდელში.

საქართველოს ხუთ უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევის შედეგად 150 თურქი სტუდენტის მონაწილეობით, რომლებიც ინგლისურ ენაზე სწავლობენ საქართველოში, დადგინდა, რომ ისინი მაღალი დონის შფოთვის განიცდიან (ლიკერტის სკალის მიხედვით მიღებული საშუალო შეფასება იყო 2,5-ზე მეტი ხუთი შესაძლებელი ქულიდან). კითხვარი 38 შექითხვისგან შედგებოდა. მისი შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

1-8 საკითხი: ნერვიულობის დონე:

- ყველა აღნიშნული პუნქტის მაჩვენებელი 2,5-ზე მეტია, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტთა ნერვიულობის დონე მაღალია, თუმცა გაკვეთილის მსვლელობისას კითხვაზე პასუხის გაცემამ მიიღო ნამდვილად მაღალი შეფასება (3.39).
- თუ შევექმნით განსაკუთრებულ პირობებს (გამოვიყენებთ თამაშს, შეჯიბრს, აქტივობებს, რომელშიც მთელი კლასი, ჯგუფები ან წყვილები არის ჩაბმული, შესასწავლი ენის მატარებელთან კომუნიკაციისას და გამონათქვამის შინაარსზე კონცენტრაციისას) სტუდენტთა ნერვიულობის დონე დაბალია; სტუდენტები განსაკუთრებულად მშვიდად გრძნობენ თავს წყვილებში და ჯგუფური სამუშაოს შესრულების დროს (3.31).

9-16 საკითხი: ფაქტორები, რომლებიც სტუდენტთა ნერვიულობას იწვევენ:

- ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი იწვევს სტუდენტის ნერვიულობას (შეფასება აღემატება 2.5-ს), ხოლო ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც სტუდენტთა შფოთვის იწვევს, არის დაბალი შეფასების მოლოდინის შიში (3.04).

17-19 საკითხი: პრობლემები, რომლებიც შფოთვით არიან გამოწვეული:

- ყველა ჩამოთვლილ შედეგმა აჩვენა მაღალი შეფასება, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო კონცენტრაციის დაკარგვა, რომელიც იწვევს დიდი ოდენობით შეცდომების დაშვებას (3.14)

20-26 საკითხი: ენობრივი უნარ-ჩვევები, რომლებიც იწვევენ შფოთვას:

- (შეკითხვა შებრუნებული ფორმითაა დასმული) ოთხივე საკომუნიკაციო უნარი იწვევს საგრძნობ შფოთვას (კითხვა ჩემპიონია მათ შორის, 1.95 მაჩვენებლით, ხოლო წერა შფოთვის ყველაზე ნაკლებ გამომწვევად შეფასდა - 2.5)
- ყველა სახის შეცდომა ანერვიულებს სტუდენტს (2.72-2.8), თუმცა არასწორი წარმოთქმა და არასწორი გრამატიკული სტრუქტურით საუბარი უფრო ანერვიულებს სტუდენტებს, ვიდრე ის ფაქტი, რომ არ ესმით სიტყვის მნიშვნელობა მოსმენის დროს.

27-38 საკითხი: როგორ გძნობენ სტუდენტები თავს გამოცდის დროს:

- ყველა შეფასებამ აჩვენა, რომ, თუ სტუდენტი კარგად არის მომზადებული, ის ზომიერ შფოთვას განიცდის; გამოკითხულები ზომიერად შფოთავენ, როცა იციან გამოცდის ფორმატი და მოთხოვნები (3.27-3.57).
- ყველა მითითებული ფაქტორები შეფასებულია 2.5 ქულაზე მეტით, ამგვარად, სტუდენტის საგამოცდო შფოთვა მაღალია, და ხელშ უშლის არსებული ცოდნის დემონსტრირებაში, განსაკუთრებით ეს ეხება შემთხვევებს, როცა სტუდენტს ესმის, რომ ის არ არის კარგად ნამეცადინევი (3.39).

კვლევამ ნათელი გახადა ისეთი სისტემის შექმნის საჭიროება, რომელიც დაძლედა ამ პრობლემას, ვინაიდან ეს პრობლემა ნეგატიურად მოქმედებდა მათ სწავლაზე.

ექსპერიმენტის მიზანი იყო, რომ განესაზღვრა, თუ რამდენად ეფექტური იქნებოდა შემოთავაზებული მოდელის გამოყენება ინგლისური ენის შესწავლის

დროს უცხოელ სტუდენტებს შორის, თუ ნამდვილად შეამცირებდა მათ შფოთვის დონეს და გაზრდიდა თუ არა მათ აკადემიურ მოსწრებას (ინგლისური უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას). შესაბამისად, კვლევის სამი შეკითხვა იქნა დასმული:

- მნიშვნელოვნად ამცირებს თუ არა შემოთავაზებული მოდელი საექსპერიმენტო ჯგუფში შფოთვის დონეს?
- მნიშვნელოვნად ამცირებს თუ არა ტრადიციული სწავლის მეთოდი საკონტროლო ჯგუფში შფოთვის დონეს?
- რომელ ჯგუფში არის ენობრივი ტესტის შედეგი უფრო მაღალი, ექსპერიმენტულ თუ საკონტროლო ჯგუფში?

პირველ ორ შეკითხვაზე პასუხის მისაღებად მივმართე კითხვარს, რომელსაც უნდა განესაზღვრა შფოთვის დონე ენის შესწავლის დროს. ეს იყო ჰორვიცი, ჰორვიცი და ქოუფის (Horwitz, Horwitz & Cope, 1986) მიერ შემუშავებული და ჩემს მიერ კვლევის მოცელული მიზნით მოდიფიცირებული კითხვარი (მე იგი შევამოკლე, რომ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო რესპოდენტებისთვის, ვთარგმნე თურქულად უკეთესი გაგებისთვის, რამდენიმე დეტალი დავუმატე, დისერტაციაში შემუშავებული მოდელის მიხედვით). კითხვარი მესამე კვლევაში გამოყენებული კითხვარის მსგავსი იყო, მაგრამ ოდნავ მოკლე. იგი გამოყენებულ იქნა ექსპერიმენტამდე და ექსპერიმენტის შემდეგ, საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფებში, რათა გაგვეგო, თუ რომელ ჯგუფში შეიცვალა შფოთვის დონე. კითხვარი შედგებოდა 29 შეკითხვისგან შფოთვის დონის დასადგენად. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ექსპერიმენტულ ჯგუფში შფოთვის დონის მნიშვნელოვანი დაკლება იქნა აღრიცხული (71 %-ით), საკონტროლო ჯგუფში კი შფოთვა მხოლოდ 17%-ით შემცირდა, რაც უმნიშვნელოა ექსპერიმენტულ ჯგუფთან შედარებით.

კვლევის მესამე შეკითხვისათვის რომ გაგვეცა პასუხი, ორივე ჯგუფის სტუდენტებს ჩაუტარდათ ინგლისური ენის ტესტი. ორივე ჯგუფში გამოყენებული ტესტის სირთულე იყო ერთნაირი, ასევე შეკითხვების რაოდენობა და შედგენილობაც მსგავსი, იმისათვის რომ შეფასების პირობები ყოფილიყო

თანაბარი ორივე ჯგუფისათვის. შემდეგ საშუალო შედეგები იქნა შედარებული ორივე ჯგუფისათვის, რომ გაგვეგო, თუ რომელ ჯგუფს ჰქონდა უკეთესი შედეგი. ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი და მეორე კურსის სტუდენტები, რომლებიც იყვნენ სხვადასხვა ფაკულტეტებიდან, თუმცა სწავლობდნენ ზოგადი ინგლისურის კურსს. ასაკი იყო 17-21 წელი. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საგნების უმრავლესობა ისწავლება ინგლისურ ენაზე, ზოგადი ინგლისური ერთ-ერთი კურსთაგანია, რომელიც ისწავლება ორი სემესტრის განმავლობაში, რადგან სტუდენტებისათვის ინგლისური არ არის მშობლიური ენა და რადგან მისაღებ გამოცდებზე სტუდენტები აბარებენ B1 დონეს, სასწავლო პროგრამა კი მოითხოვს ინგლისურის B2 დონეზე ცოდნას.

ექსპერიმენტული ჯგუფი შედგებოდა 10 სტუდენტისაგან, 5 მდედრობითი და 5 მამრობითი სქესის წარმომადგენლებისგან. ჯგუფი შემთხვევითად არჩეული მოხალისეებისგან შედგებოდა (2014-15 აკადემიური წლის პირველი სემესტრის სტუდენტებისგან). სტუდენტების ენის ფლობის დონე ერთნაირი იყო (A2) რადგან შედარებითი ანალიზი ყოფილიყო სანდო და მართებული.


სწავლება მიმდინარეობდა კვირაში 3 საათი ერთიდაიგივე სახელმძრვანელოთი (OUTCOMES: Pre-Intermediate). ექსპერიმენტულ ჯგუფში, მხოლოდ სპეციალური ზომები იქნა მიღებული შფოთვის დონის შესამცირებლად, სხვა მხრივ, სასწავლო მასალები და სწავლების მეთოდები იდენტური იყო ორივე ჯგუფში.

ტესტის შედეგებმა გამოავლინეს (იხ. ცხრილი და სქემა 3.1), რომ ექსპერიმენტული ჯგუფის წევრებმა უფრო შთამბეჭდავად (26.2 ქულით ანუ 60.7%-ით) გააუმჯობესეს თავიანთი ინგლისური უნარ-ჩვევების დონე, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებმა (15.5 ქულით ანუ 33.7%-ით).

ცხრილი 3.1. ექსპერიმენტისა და საკონტროლო ჯგუფის ტესტირების შედეგები
(ინგლისური ენის უნარ-ჩვევების დონე)

	საკონტროლო ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი
წინა-საექსპერიმენტო ტესტირება (საშუალო არითმეტიკული)	54.1	56.9
ექსპერიმენტის მსვლელობისას ტესტირება (საშუალო არითმეტიკული)	62.3	71.5
ექსპერიმენტის-შემდგომ ტესტირება (საშუალო არითმეტიკული)	69.6	83.1
ზრდა	15.5 ქულა (33.7%)	26.2 ქულა (60.7%)

სქემა 3.1. ექსპერიმენტისა და საკონტროლო ჯგუფის ტესტირების შედეგები
(ინგლისური ენის უნარ-ჩვევების დონე)



ამგვარად, სამ დასმულ შეკითხვაზე პასუხები არის შემდეგნაირი:

- შემოთავაზებული მოდელის გამოყენებით ექპერიმენტულ ჯგუფში 71%-ით მცირდება შფოთვის დონე სწავლის დროს;
- ტრადიციული სწავლების მეთოდის გამოყენებამ საკონტროლო ჯგუფში თვალსაჩინოდ არ შეამცირა შფოთვის დონე (მხოლოდ 17%-ით);
- ენის ცოდნის ტესტირების შედეგები საგმნობლად მეტად გაიზარდა ექპერიმენტულ ჯგუფში (60.7%-ით), ვიდრე საკონტროლო ჯგუფში (33.7%-ით).

კვლევის ჰიპოთეზა (ყოველ შემთხვევაში, ამ ჯგუფის სტუდენტებისთვის) იქნა და დასტურებული.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში უცხოური ენის, განსაკუთრებით კი ინგლიზურ ენის, ცოდნა, არის ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი როგორც პირადი მიღწევებისთვის, ისე ქვეყნის განვითარებისთვის. თუმცა არიან ქვეყნები, რომლებიც ისტორიულად ნაკლებად არიან გახსნილები გლობალური საზოგადოების მიმართ და არ შეუძლიათ ამ პრობლემის მოგვარება ერთ ღამეში, მათ ეს მხოლოდ შეუძლიათ ნაბიჯ-ნაბიჯ გარკვეული დროის პერიოდში. გარდა იმისა, რომ ჩამორჩნენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ამ ქვეყნებს აქვთ კულტურული პრობლემები, რომლებიც იწვევენ ენის შემსწავლელთა ძლიერ შფოთვას სხვა ქვეყნებში სწავლის დროს. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა სპეციალური სისტემის შექმნა, რათა შემცირდეს ენის სწავლით გამოწვეული სტუდენტების შფოთვა. მასწავლებლები უნდა იყვნენ მომზადებულები იმისათვის, რომ სწავლის პროცესი გახადონ ეფექტური, დაწიონ შოთვის დონე და სტუდენტებმა მიაღწიონ წარმატებას უცხო ენის შესწავლის დროს.

2. შფოთვა არის „არასასიამოვნო ემოციური მდგომარეობა ან განწყობა, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას სუბიექტური გძნობებისგან, დამაბულობისგან, შიშისგან, ასევე ავტონომიური ნერვიული სისტემის აქტივაციით“ (Spielberger, 1972, გვ. 82). თუ შევაჯამებთ ფროიდის (Freud, 1969), სქარის (Scarre, 1995), მაქინთაირისა და გარდნერის (MacIntyre & Gardner, 1989), ჰორვიცის, ჰორვიცისა და ქოუფის (Horwitz, Horwitz, & Cope, 1986), სარასონის (Sarason, 1980) და რიჩმონდის (Richmond, 2015) შეხედულებებს შფოთვის განმარტებასთან დაკავშირებით, რომლებიც განხილულია დისერტაციაში, მივიღებთ, რომ შფოთვა არის არასასიამოვნო შეგძნებები, რომელიც მოიცავს შიშს, დარდს, დაბნეულობას, და განცვიფრებას, და რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს ენის სწავლაზე და გამოყენებაზე.
3. შფოთვა აფექტური ფილტრის ერთ-ერთი ნაწილია. ქრეშენის (Krashen, 1981) აფექტური ფილტრის ჰიპოთეზის (ასევე შეთვისება/შესწავლის, ბუნებრივი თანმიმდევრობის, სწავლის თვითდაკვირვებისა და ენობრივი წვლილის ჰიპოთეზების) მიხედვით, თუ აფექტური ფილტრი ძალიან მაღალია, იგი დაუძლეველ ბარიერს უქმნის ენის სწავლასა და გამოყენებას.
4. შფოთვა ენის სწავლაში და გამოყენებაში ავტომატურად არ იწვევს პრობლემებს. როდესაც მისი დონე დაბალია, ის ეხმარება კიდევ სტუდენტს თავისი თავის მაქსიმალურად გამოჩენაში (ხელშემწყობი შფოთვა). მხოლოდ მაშინ, თუ ის მაღალ დონეზეა, მას აქვს ნეგატიური და ზოგჯერ გამანადგურებელი შედეგები კი (ხელის შემშლელი შფოთვა).
5. გარდა ხელშემწყობი და ხელშემშლელი შფოთვისა, არსებობს შფოთვა როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება და მდგომარეობიდან გამომდინარე შფოთვა. შფოთვა როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება ახასიათებთ ისეთ ადამიანებს, ვინც უფრო მგრძნობიარენი არიან, რომლებმაც შეიძლება ინერვიულონ უმიზეზოდაც კი. ზოგადად, მსგავს სტუდენტებს ექმნებათ ბევრი პრობლემა განათლების მიღების დროს, განსაკუთრებით, შეფასების დროს. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, თუ

რომელ სტუდენტს ახასიათებს შფითვა როგორც პიროვნული თვისება, და უნდა მოექცნენ მათ განსაკუთრებით დელიკატურად (ყურადღება მიექცეს შესწორებას, არ უნდა იქნას მათი შეფასება საჯაროდ განხილული და ა.შ.). მდგომარეობიდან გამომდინარე შოთვა შეიძლება გაჩნდეს კონკრეტულ სიტუაციაში (როდესაც სტუდენტს უსვავენ შეკითხვას, როცა ის საუბრობს საჯაროდ ან გადის გამოცდაზე), და, როგორც წესი, მას აქვთ მკაფიო “ჩამრთველი”. ყველა ადამიანს არ ახასიათებს სიტუაციიდან გამომდინარე შოთვა. შეიძლება ადამიანი განიცდიდეს სიტუაციურ შფოთვას, მაგრამ არ ჰქონდეს მაღალი დონის შფოთვა როგორც პიროვნული თვისება. სამაგიეროდ, ისინი, ვინც გამოირჩევიან შოთვის როგორც პიროვნული თვისების, მაღალი დონით, აუცილებლად განიცდიან სიტუაციურ შოთვასაც (Spielberger, 1972). იმ სტუდენტებისთვის, ვისაც არა აქვთ შფოთვა როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება, სიტუაციური შფოთვა ჩვეულებრივად არის ხანმოკლე. იმ სტუდენტებისთვის კი, რომლებსაც აქვთ შფოთვა როგორც პიროვნული თვისება, ეს მდგომარეობა უფრო ხანგრძლივია. „მდგომარეობიდან გამომდინარე შფოთვა“ და „სიტუაციიდან გამომდინარე შფოთვა“ არიან სინონიმური ტერმინები: შოთვა განიხილება სტუდენტების გრძნობების კუთხით მდგომარეობიდან გამომდინარე შფოთვის შემთხვევაში და შფოთვის გამომწვევი სიტუაციის კუთხით, სიტუაციური შფოთვის შემთხვევაში. ეს მისცემს მასწავლებლებს საშუალებას, შფოთვის პროგნოზირება მოახდინონ და დაწიონ იგი მინიმუმამდე.

6. ვინაიდან სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დავალებები და განახორციელონ კომუნიკაცია არამშობლიურ ენაზე, უცხოური ენის სწავლა ყოველთვის განცალკევებულია სხვა საგნების სწავლით გამოწვეული ემოციებისგან და, რა თქმა უნდა, როდესაც ადამიანმა იცის, რომ მას აფასებენ (განსაკუთრებით შემაჯამებელი შეფასების დროს, ვინდაიდან მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს), ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს


მოსწავლეზე. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ თავიდან აიცილონ შეფასების მკაცრი სისტემა.

7. სწავლა ზოგადად არ არის იოლი, ამიტომ, ბუნებრივია, ის იწვევს შფოთვას. შფოთვა ახასიათებს ნებისმიერ საგანში გაკვეთილებს, მაგრამ უცხოური ენის გაკვეთილები განსაკუთრებით შფოთვის გამომწვევია, რადგან მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ დავალებები და განახორციელონ კომუნიკაცია ენაზე, რომელსაც ისინი არც ისე ხშირად იყენებენ. ამრიგად, მეორე / უცხოური ენის შესწავლის შფოთვა ცალკე დგას სხვა სახის სასწავლო შფოთვებისაგან. და, რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ მოსწავლეს აფასებენ (განსაკუთრებით, როცა მიმდინარეობს შემაჯამებელი შეფასება, მისი გადამწყვეტი მნიშვნელობის გამო), იწვევს შფოთვას, რომელიც ხშირადაა ხელშემსლელი შფოთვა. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ეს და თავი აარიდონ შეფასების ძალიან მკაცრ პირობებს.
8. შფოთვის მიზეზი მხოლოდ კონკრეტული სიტუაციები როდია, მათი მიზეზი ზოგჯერ ადამიანები არიან (სტუდენტები, მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები, სკოლის/უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, მთელი საზოგადოება). მასწავლებლებმა უნდა გამოიკვლიონ, თუ საიდან მოდის მოსწავლის ეს ემოციური მდგომარეობა, რათა მიმართონ ზომებს მისი შემცირებისათვის.
9. შფოთვის შემცირება ინგლისური ენის სწავლის დროს დაკავშირებულია გაკვეთილის მიმდინარეობისას მეგობრული, მიღწევებზე ორიენტირებული და ნაკლებად სანერვიულო შეფასების გარემოს შექმნასთან, ასევე ეფექტური სტრატეგიების განვითარებასთან ლინგვისტური პრობლემების დაძლევისათვის. ამასთან დაკავშირებით, მასწავლებელმა და მოსწავლემ უნდა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება შეცდემობის მიმართ და უნდა აღიქვან ისინი როგორც განათლების განუყოფილი ნაწილი და არა საშინელი დანაშაული. ასევე სტუდენტების კულტურა და სქესის თავისებურებებიც უნდა იყოს გათვალისწინებული შფოთვის დონის შესამცირებლად. ძალიან მნიშვნელოვანია ენობრივი შფოთვა თურქი

სტუდენტებისათვის, რადგან, ერთის მხრივ, მათ გააჩნიათ გარკვეული ცრუ რწმენები ენის შესწავლასთან დაკავშირებით (რაც თან ახლავს ზოგიერთი კულტურის შესახებ ინფორმაციის შესწავლას), მეორეს მხრივ კი, მდებარეობითი სქესის თურქი სტუდენტების ქცევის წესებთან დაკავშირებით, რომლის დარღვევასაც ისინი თავს არიდებენ.

10. პრაქტიკული მიზნისათვის, მასწავლებლები ამჩნევენ, თუ როდის ახდენს სწავლასთან დაკავშირებული შფოთვა სტუდენტებზე ნეგატიურ გავლენას (მაგალითად, სტუდენტი გაკვეთილის დროს ყველაფერს აკეთებს სწორად, მაგრამ გამოცდაზე იღებს დაბალ შეფასებას). მეცნიერული მიზნებისათვის საჭიროა შფოთვის დასადგენი ინსტრუმენტების არსებობა, რომელიც შეიძლება იყოს სამედიცინო (კლინიკურ შემთხვევებში წნევის, პულსის, ოფლიანობის, ადრენალინის დონისა და ა.შ. გაზომვა) ან ფსიქომეტრიული (სპეციალური კითხვარი). მე გავაანალიზე არსებული საზომები, უმეტესად ჰორვიც, ჰორვიცისა და ქოუფის (Horwitz, Horwitz, & Cope's (1986), და მოვახდინე მისი მოდიფიკაცია, რადგან იგი მორგებოდა ჩემ კვლევას. მე ყველა არსებულ საზომს გავუწევდი რეკომენდაციას, ვინაიდან ისინი საკმაოდ გვანან ერთმანეთს. წარმოდგენილ დისერტაციაში ფსიქომეტრიული საზომი უფრო პრაქტიკულად არის გამოყენებული, ვინაიდან ის, ერთის მხრივ, ზედმეტად არ უღრმავდება დეტალებს, მეორე მხრივ კი, შფოთვის ყველა ფაქტორს ასახავს.

11. ზემოთ ხსენებულზე დაყრდნობით იქნა შეთავაზებული მოდელი, რომელიც დაბლა დაწევს შფოთვის. მოდელი მოიცავს 4 ძირითად კომპონენტს:



12. ეს მოდელი შეფასებული იქნა კითხავრებითა და ექსპერიმენტებით, რომლებმაც დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მოდელს ექნებოდა მომგებიანი აფექტური (შფოთვის შემცირება) და კოგნიტური (ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება) შედეგები. მისი გამოყენება შეიძლება არამარტო უნივერსიტეტებში, სადაც თურქი სტუდენტები სწავლობენ ინგლისურ ენას, არამედ უფრო ფართო მასშტაბითაც: სკოლაში და ასევე მაშინ, როდესაც სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან სხვადასხვა უცხო ენას სწავლობენ. რა თქმა უნდა, დამატებითი კვლევები იქნება საჭირო, რათა მოარგოს შემოთავაზებული მოდელი კონკრეტულ სიტუაციას.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

- 1- Doghonadze, N., Demir, H. (2013). Critical Analysis of open-book exams for university students. *Proceedings of ICERI 2013 Conference 18th-20th November 2013, Seville, Spain.* p. 4851-4857
- 2- Demir, H. (2012). The Role of Native Language in the Teaching of the FL Grammar. *Journal of Education – Volume 1, Issue 2, p.. 21-28*
- 3- Demir, H., Prangishvili, M. (2014). Coping with Speaking Anxiety with Application of Technical Devices. *Second International Research Conference at the Faculty of Education, on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English, p. 96 - 104*
- 4- Demir, H. (2015). Speaking anxiety among Turkish EFL students (Case of IBSU). *Journal of Education – Volume 4, Issue 2, p. 37-43*